თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N 13

ქ. თელავი 2022 წლის 21 დეკემბერი

თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე **თინათინ ხანჯალიაშვილი**

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: **ლევან ბერძენაშვილი, დავით ღაღანიძე, ზურაბ მოსახლიშვილი, მიხეილ დაღუნდარიძე, ალექსანდრე შათირიშვილი, ალექსი ძულიაშვილი, აბრაამ მახარიაშვილი, ნატალია ბახსოლიანი, ზვიად ხანჯალიაშვილი, გელა ესიტაშვილი.**

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **მამუკა ბურდიაშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი **ტარიელ გალახვარიძე,** თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი **ზურაბ სახიაშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიაში მოწვეული სპეციალისტი **ზურაბ ენუქიძე.**

<u>**დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი**</u>

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შ.პ.ს „საქართველოს ფოსტისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

   მომხს.თ. ხანჯალიაშვილი

2. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული გარე განათების კონსტრუქციებზე სს „სილქნეტის“ მიერ ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის განთავსების შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე

   მომხს.თ. ხანჯალიაშვილი

3. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ“

მომხს.თ. ხანჯალიაშვილი

მოისმინეს 1 თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შ.პ.ს „საქართველოს ფოსტისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

აზრი გამოთქვეს: ზურაბ სახიაშვილმა განმარტა, რომ შ.პ.ს „საქართველოს ფოსტისათვის“ ორი წლის უკან დადებულ იჯარის ხელშეკრულებას უმთავრდება სასყიდლიანი სარგებლობის იჯარის ვადა, ქ.თელავში ერეკლე მეორის მოედანზე საკ.კოდი 53.20.37.485 და ბაგრატიონის ქუჩაზე საკ.კოდი 53.20.37.394 თითოეული არასასოფლო დანიშნულების მიწის 4 კვ.მ. ოდენობის ფართზე. შემდგომი ხელშეკრულების საფასური განისაზღვრება გაზრდილი ოდენობით წლიურად 4200 ლარი და 3000 ლარი შესაბამისად.

მიხეილ დაღუნდარიძემ გამოთქვა მოსაზრება პროექტის საკრებულოს ბიუროს სხდომაზე განხილვის თაობაზე.

მოსაზრებას მხარი დაუჭირეს კომისიის დანარჩენმა წევრებმა.

გადაწყვიტეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შ.პ.ს „საქართველოს ფოსტისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ განხილული იქნას საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

მოისმინეს 2. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული გარე განათების კონსტრუქციებზე სს „სილქნეტის“ მიერ ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის განთავსების შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე

აზრი გამოთქვეს: ზურაბ სახიაშვილმა განმარტა, რომ წარმოდგენილი დანართის თანახმად ლოკაციებზე სს „სილქნეტს“ სასყიდლიანი სარგებლობის

უფლებით ორი წლის ვადით 780 ლარის საფასურის ოდენობით უნდა გამოიყენოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რიცხული გარე განათების კონსტრუქციები ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის განსათავსებლად.

ზურაბ მოსახლიშვილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ სოფელ ვარდისუბანში - მერეში, 25 ოჯახი ითხოვს სს „სილქნეტის“ სერვისს, რასაც კომპანია დღემდე არ აგვარებს, საჭიროა დახმარება.

ალექსანდრე შათირიშვილმა გამოთქვა მოსაზრება სს "სილქნეტისთვის" სოფ.ვარდისუბნის მოსახლეობის პრობლემის შესახებ წერილის გაგზავნის თაობაზე და საკითხის საკრებულოს ბიუროს სხდომაზე განხილვის შესახებ.

გადაწვიტეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული გარე განათების კონსტრუქციებზე სს „სილქნეტის“ მიერ ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის განთავსების შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე პროექტი განხილული იქნას საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

მოისმინეს 3. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ

აზრი გამოთქვეს: **ზურაბ სახიაშვილმა** აღნიშნა, რომ ეკონომიკის სამინისტროს მოთხოვნილი აქვს სახელმწიფო საკუთრებაში იმ უძრავი ქონების გადაცემა, სადაც განთავსებულია სოფლის ამბულატორიები, შემდგომში ამ შენობებში სამედიცინო ჰოლდინგი მოაწყობს თანამედროვე კეთილმოწყობილ ამბულატორიებს.

ლევან ბერძენაშვილმა გამოთქვა მოსაზრება პროექტის საკრებულოს ბიუროს სხდომაზე განხილვის თაობაზე.

გადაწყვიტეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ პროექტი განხილული იქნას საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

კომისიის თავმჯდომარე **თინათინ ხანჯალიაშვილი**